ონის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

დადგენილება №19
2015 წლის 23 ივლისი

ქ. ონი

ონის მუნიციპალიტეტის სიმბოლოების (დროშისა და გერბის) დამტკიცების შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ მე-8 მუხლის მე-2 პუნქტის, 24-ე მუხლის პირველი პუნქტის „ა.გ“ ქვეპუნქტის, 61-ე მუხლის პირველი და მე-2 პუნქტების, „ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს კანონის 25-ე მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის შესაბამისად, ონის მუნიციპალიტეტის საკრებულო **ადგენს:**

მუხლი 1

დამტკიცდეს ონის მუნიციპალიტეტის გერბი და მისი აღწერილობა დანართი №1-ის შესაბამისად.

მუხლი 2

დამტკიცდეს ონის მუნიციპალიტეტის დროშა და მისი აღწერილობა დანართი №2-ის შესაბამისად.

მუხლი 3

ძალადაკარგულად გამოცხადდეს „ონის მუნიციპალიტეტის სიმბოლოების – გერბისა და დროშის დამტკიცების შესახებ“ ონის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2010 წლის 13 დეკემბრის №43 დადგენილება.

მუხლი 4

დადგენილება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

ონის მუნიციპალიტეტის საკრებულოს
თავმჯდომარე — შუქურა ჯაფარიძე

დანართი №1

ონის მუნიციპალიტეტის გერბი



ონის მუნიციპალიტეტის გერბის აღწერილობა:

გერბის ფარის ლაჟვარდის ველზე გამოსახულია ვერცხლის სამმწვერვალიანი მთა, რომლის შუა მწვერვალი მაღალია; მთის ზემოთ მოთავსებულია სტილიზებული ფორმის ოქროს ვერძის რქები, მის

ზემოთ ოქროს ჯვარი. გერბის ფარს ზემოთ მოთავსებულია საქალაქო ვერცხლის გვირგვინი – სამკოშკიანი ქონგურებიანი გალავანი (ციხე-სიმაგრის ფორმის) ნახევრად ღია კარიბჭით. ფარს ქვემოთ მოთავსებულია გერბის დევიზის ვერცხლ-ლაჟვარდის ბაფთა, რომლის ვერცხლის ველზე შავით ჩაწერილია გერბის დევიზი – ონი.

დანართი №2

ონის მუნიციპალიტეტის დროშა



ონის მუნიციპალიტეტის დროშის აღწერილობა:

დროშის ველი გაყოფილია ჰორიზონტალურად ორ ნაწილად. I ნაწილში ლაჟვარდოვან ველზე გამოსახულია ოქროს ბოლნური ჯვარი. II ნაწილი წარმოადგენს ვერცხლის ველს. I ნაწილს დროშის 2/3 უჭირავს, II ნაწილს – 1/4. დროშის პროპორციაა 2:3.